

# შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

## ჰუმანიტარული ფაკულტეტი

ამერიკული ინგლისური გლობალურ კონტექსტში: მიმდინარე სტატუსი კაჩრუს მოდელში და ინგლისური ენის გლობალური სტანდარტის განვითარების პერსპექტივა.

დიანა ლლონტი

სადოქტორო დისერტაციის რეფერატი ამერიკანისტიკაში

თბილისი 2013

ხელმძღვანელი: პროფ.დოქტ. ლალი ჯობაძე

.....  
(ხელმძღვანელის ხელმოწერა)

ექსპერტები: ასოც. პროფ. დოქტ. ირინა ბახტაძე

ოპონენტები: 1. პროფ. დოქტ. ანა მესხი

2. ასოც. პროფ. დოქტ. ნინო თევდორაძე

## ნაშრომის მოკლე შინაარსი

**კვლევის აქტუალობა:** გლობალიზაციის ლინგვისტური განზომილება მნიშვნელოვნად იზრდება. ინგლისური ენის უპრეცედენტო გავრცელება მსოფლიო მასშტაბით, ეკონომიკურ და პოლიტიკურ გლობალიზაციასთან ერთად და ამერიკული ინგლისურის მისაკუთრებული ჰეგემონია თვით ამ პროცესში ქმნიან ახალ სოციოლინგვისტურ რეალობას. ამ ფენომენის სისტემატიური შესწავლა წარმოადგენს უახლეს ტენდენციას დაამასთან ეფექტური კომუნიკაციური კომპეტენციისა და ინგლისური ენის შესწავლის სერიოზულ სედეგებს იძლევა. საკლავი საკითხების კომპლექსურობა მოითხოვს ინტერდისციპლინარულ მიდგომას, მათ შორის ამერიკანისტიკის სფეროს, გამოყენებით ლინგვისტიკას, კულტუროლოგიასა და პოლიტიკურ მეცნიერებას.

გლობალიზაციის რეალობის გაგება და ამ თემის დაყენება თავისი კომპლექსური სტრუქტურით წარმოადგენს სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხს ნებისმიერი ქვეყნის მომავალ წარმატებულ განვითარებაში და განსაკუთრებით საქართველოსთვის. წინამდებარე თეზისი არის მცდელობა მონიშნოს საქართველო გლობალიზაციასთან დაკავშირებული ლინგვისტური განვითარების კომპლექსურ რუქაზე. უკანასკნელი ტენდენცია-ინგლისური ენის მნიშვნელობის ზრდა საქართველოს საგანმანათლებლო სფეროში, ხაზს უსვამს საჭიროებას გავითვალისწინოთ ფუნდამენტური საკითხები ინგლისური ენისაგლობალურ გავრცელებასა და გამოყენებასთან დაკავშირებით და ასევე მასწავლებლის მიერ ინგლისური ენის ყოველდღიურ გამოყენებას პრაქტიკაში, რაც აღნიშნულ საკითხზე ახალპერსპექტივენს გვთავაზობს, ეს საბოლოოდ ზრდის და აუმჯობესებს კომუნიკაციის უნარს და ენის გაგებას, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია თანამედროვე გლობალურ რეალობაში.

**კვლევის საგანი:** გლობალიზაციის ლინგვისტური ასპექტების კვლევა 21-ე საუკუნის გამოყენებითი ლინგვისტიკის მთავარ საკვლევ ინტერესს წარმოადგენს. ამერიკული ინგლისური ენის გლობალური გავრცელების ფენომენი ერთ-ერთი ყველაზე სადაო საკითხია აღნიშნულ სფეროში. ეს არის თანამედროვე ინგლისური ენის ლინგვისტიკის ქვაკუთხედი: ლინგვისტები გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ ასე სწრაფად მზარდი გლობალიზაციის დროს ინგლისური ენის

სტანდარდიზაციისა და ენის გლობალური სტანდარტის მიღების საჭიროება უდავოდ ნათელია, რაც მრავალ რთულ საკითხს წარმოშობს წლების განმავლობაში საკომუნიკაციო კომპეტენციის ფარგლებში მოქცევისა და ინგლისური ენის შესწავლის საკითხებში. წინამდებარე კვლევა შეისწავლის ამერიკული ინგლისური ენის სტატუსს და ფუნქციას გლობალურ პერსპექტივაში. კვლევა ხორციელდება ინგლისური ენის შემსწავლელ კაჩრუვის მოდელის მიხედვით და მოიცავს ლიტერატურის მიმოხილვას, ინტერვიუებს, ინფორმაციულ ბაზას და ექსპერიმენტულ პროცედურებს.

**ჰიპოთეზა:** ჩვენი ჰიპოთეზები აღნიშნულ კვლევაში შემდეგია:

1. ვფიქრობთ, რომ შესაძლებელია მკაფიო ტენდენციის შექმნა ინგლისური ენის გლობალური სტანდარტების სამომავლოდ ჩამოყალიბებისთვის. წინამდებარე ნაშრომში ჩვენ გამოთქვამთ მოსაზრებას ისეთ სტანდარტზე, როგორც არის ინგლისუროენის გლობალური სტანდარტი და ვცდილობთ აღნიშნულ საკითხზე არსებული თეორიების სისტემატიზაციას.
2. ჩვენ ამერიკულ ინგლისურს მივიჩნევთ როგორც ყველაზე სათანადო და ხელსაყრელ ბაზადინგლისური ენის გლობალური სტანდარტისათვის.
3. ჩვენ ვირჩევთ ინგლისური ენის კაჩრუვის მოდელს როგორც ძირითად განსახილველ საშუალებას, რომელიც უნდა გამოვიყენოთ გლობალურად ამერიკული ინგლისურის გავრცელების პროცესის შეფასების კვლევის დროს, ამ უკანასკნელს ვაფასებთ როგორც კულტურათაშორის არსებულს და გლობალიზაციის შედეგს. თუმცა ჩვენ ვცდილობთ განვიხილოთ ორიგინალი მოდელი და ვცდილობთ დავამტკიცოთ, რომ გლობალიზაციის კომპონენტის შეტანა არსებულ მოდელში მნიშვნელოვნად ცვლის ტრადიციულად მიღებულ ძალების ბალანსს მოდელის სეგმენტებს შორის, ცვლის რა შეფარდები მოცულობას და თვისებას და ურთიერთდამოკიდებულობას კომპონენტებს შორის.
4. აღნიშნულ კვლევაში ვადგენთ და ვცდილობთ დავამტკიცოთ კაჩრუვის მოდელის მზარდი წრის სეგმენტის პირველადი მნიშვნელობა ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებზეც კვლევა მიმდინარეობს. კვლევის

გარკვეული ნაწილი არის მცდელობა ახსნას თუ როგორ ხედავენ მზარდ წრეში არსებული კულტურები, და მათ შორის ქართული რესპონდენტები ენის სტანდარტიზაციის პერსპექტივებს და შესაძლებლობას ამერიკული ინგლისური ენა გახდეს ინგლისური ენის მსოფლიო სტანდარტი. ეს თავისმხრივ საშუალებას გვაძლევს ვისაუბროთ გარკვეულ ტენდენციებზე ერთგვაროვანი შეხედულებების არსებობაზე პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით. ჩვენი ჰიპოთეზაა: შესაძლოა ვისაუბროთ მაკრო ტენდენციის გაფართოებაზე, რაც გულისხმობს ამერიკული ინგლისური ენის აღიარებას მსოფლიო სტანდარტად.

გლობალიზაციის საპირისპირო ბუნება გამოიხატება იმ ფაქტში, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი, რომელიც ეკუთვნის სხვადასხვა კულტურულ ანდა ცივილიზებულ ტრადიციებს, გლობალურ დონეზე იბრძვიან სხვებთან თანამშრომლობისთვის და ამავე დროს ცდილობენ საკუთარი ნაციონალური, ეთნიკური, კულტურული და ცივილიზებული იდენტობის შენარჩუნებას. გლობალიზაციის მიმართ უარყოფით რეაქციებს შორის საკმაოდ ხშირია რეაქცია ერთსახეობისა და ერთგვარობის ტენდენციის მიმართ, რომელიც მიჩნეულია გლობალიზაციის წესის ნაწილად. მიუხედავად ამისა დღევანდელ რეალობაში, კულტურული და ნაციონალური უსაფრთხოების მიღწევა გლობალიზაციის კარის ჩაკეტვით ტექნოლოგიურად უბრალოდ შეუძლებელია და აგრეთვე ეწინააღმდეგება ადამიანის სურვილებს. თავისი ბუნებით გლობალიზაციის პროცესმა გახსნა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული თანამშრომლობის კოსმოპოლიტანური სივრცე, რომლის განვითარების შეჩერება ადვილი არ არის. მან შექმნა ახალი "სოციალური რეალობა" ტრანსნაციონალურ დონეზე რეგიონალურ და შიდა თანმიმდევრობაში შორს მიმავალი თანამონაწილეობით, მსოფლიო მასშტაბით. ეს საკითხები ძალზედ მნიშვნელობანია განვითარებადი ქვეყნებისთვის, მათ შორის საქართველოსთვის.

საქართველო აქტიურად ახორციელებს ინტეგრაციას მსოფლიოს ძირითად დემოკრატიულ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესში და ცდილობს ნატოში და ევროსაბჭოში გაწევრიანებას. ეს ნიშნავს იმას, რომ პოლიტიკური და ეკონომიკური აქტივობების ჩარჩოების წყალობით, შესაძლებელია მისი ჩართვა იმ ქვეყნების ჩამონათვალში, რომლებიც ხელს უწყობენ გლობალიზაციას. ბოლო ათწლეულის

განმავლობაში საქართველოს პოლიტიკა ხასიათდება აშშ-სთან მჭიდრო ურთიერთობებით, რომელიც წარმოადგენს დომინანტურ ძალას გლობალიზაციის პროცესში და დასავლური აზროვნებისა და ფასეულობების მიმართ გულღიანობით. გეოპოლიტიკურად, ეს ძირითადი პროდასავლურად ორიენტირებული კულტურაა, რომლის შენარჩუნება აუცილებელია. 1995 წლის ივლისში, იმ დროს, როდესაც მსოფლიო ლიდერებმა დაიწყეს საუბარი " ახალი მსოფლიოს გლობალური წესრიგის" შესახებ, "არატოლერანტობის წინააღმდეგ" სოლიდარობის საერთაშორისო ფორუმი გაიმართა თბილისში, "UNESCO" - ს ეგიდით, სადაც დაისვა "აგრესიული არატოლერანტობის" ახალი გლობალური საფრთხის დიაგნოზი, რომელიც მონაწილეების აზრით შეიძლება დამღეულ იქნას მხოლოდ "ტოლერანტობის ახალი კულტურის" მეშვეობით, რომელიც წარმოადგენს ახალი გლობალური რეალობის კულტურებს შორის დიალოგის ძირითად ნაწილს. გლობალიზაციის რეალობის გაცნობიერება და საკუთარი თავის მის რთულ სტრუქტურაში ჩასმა წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს საქმეს მომავალში ქვეყნის წარმატებული განვითარებისთვის.

სამწუხაროდ, პრობლემის ეკონომიური, პოლიტიკური, კულტურული და ლინგვისტური ასპექტები, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოსთან ჯერ საკმარისად შესწავლილი არ არის და ითხოვს შემდგომ ფართო შემუშავებას. წინამდებარე ნაშრომი განიხილავს პრობლემის ლინგვისტურ მხარეს და ცდილობს განათავსოს საქართველო გლობალიზაციასთან დაკავშირებული ლინგვისტური განვითარების კომპლექსურ სისტემაში. მე-20 საუკუნის დასასრულის და 21-ე საუკუნის დასაწყისის დამახასიათებელი ნიშანი არის გლობალიზაცია, ინგლისურენოვანი ქვეყნების და განსაკუთრებით აშშ-ს მზრდადი და ამჟამად დომინანტური ეკონომიკური, პოლიტიკური და ტექნიკური მნიშვნელობა.

ამერიკის შეერთებული შტატების წამყვანი და დომინანტური პოზიცია გლობალურ ვაჭრობაში და პოლიტიკაში და ასევე მისი კულტურის მთელ მსოფლიოში ეფექტური ექსპორტი, წარმოადგენს დღევანდელ რეალობას და უზრუნველყოფს აშშ-ს წამყვან პოზიციას გლობალიზაციის პროცესში: გრედოლი (1997, გვ.9) აცხადებს: „აშშ-ს მზრდადმა ეკონომიკურმა და კულტურულმა გავლენამ და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გლობალური ზესახელმწიფოს სტატუსმა მნიშვნელოვნად დააჩქარა ენის გავრცელების პროცესი მთელი პლანეტის ფარგლებში“. გრედოლი ადასტურებს, რომ

მსოფლიოში აშშ-ს როლის მნიშვნელოვანი ზრდა გავლენას ახდენს ინგლისური ენის გამოყენებაზე და მიმზიდველობაზე მათთვის, ვისთვისაც ინგლისური არ არის პირველი ენა. ის აცხადებს ასევე, რომ „მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, აშშ გახდა გლობალური ეკონომიკური და კულტურული ძალა, ხოლო ამერიკული ინგლისური ენა მსოფლიოში დომინანტური ენა გახდა“ (გრედოლ, 1999, გ. 62). შუა 70-იან წლებში, გლობალიზაციის ერის დაწყებამდე 25 წლით ადრე, შტეინერმა განიხილა ლინგვისტური რეალობის პირველ ნიშნები.

„ინგლისური ენა მოქმედებს, როგორც ამერიკული ძალის და ამერიკული ტექნოლოგიის და ფინანსების გამტარი. ინგლისური და ამერიკული ინგლისური ენა მთელი მსოფლიოს ფარგლებში ადამიანებისთვის და განსაკუთრებით ახალგაზრდებისთვის წარმოადგენს იმედის შეგრძნების, მატერიალური კეთილდღეობის, სამეცნიერო და პრაქტიკული პროცედურების გამოსახულებას.

ხალხური ხელოვნების, თაობების კონფლიქტის, საერთაშორისო ტექნოლოგიების მასობრივი მოხმარების წარმოადგენა მთელი მსოფლიოში ვრცელდება ამერიკული ინგლისური ენის გამოყენებით“ (1975, გვ. 469).

ბარბერი აფასებს გლობალიზაციის კულტურულ შედეგებს, როგორც სასარგებლოს ამერიკისთვის და განსაკუთრებით ამერიკული ინგლისური ენისთვის:

„გლობალური კულტურა არის ინგლისურენოვანი და უფრო სწორად ამერიკული. ამერიკული ინგლისური გახდა მსოფლიოს პირველი თარგმანის ენა კულტურაში და ხელოვნებაში და ასევე მეცნიერებაში, ტექნოლოგიაში, ვაჭრობაში, ტრანსპორტირების და საბანკო სფეროში“ (1996, გვ. 84). შესაბამისად, გლობალიზაცია განსაზღვრულია, როგორც ინგლისური ენის მთელ მსოფლიოში გავრცელების ერთ-ერთი ძირითადი წამყვანი ძალა და შეგვიძლია ვთქვათ, რომ როგორც ინგლისურენოვანი ქვეყნების (და განსაკუთრებით აშშ-ს) ეკონომიკური და ტექნიკური მნიშვნელობის და მათი პოლიტიკური უზენაესობის შედეგი, ინგლისური ენა აითვისება მსოფლიოს უფრო და უფრო მეტი ადამიანის და ორგანიზაციის მიერ და ამჟამად წარმოადგენს ყველაზე ხშირად შესწავლილ ენას.

ფაქტია, რომ ამერიკული ინგლისური ენის მზრდადი მნიშვნელობა წარმოადგენს მსოფლიოში ამერიკული კულტურის წონისა და პრესტიჟის ზრდის შედეგს. მაგრამ

საჭიროა ასევე სხვა ფაქტორების გამოკვლევა და გაანალიზება, რომლებიც ასევე მნიშვნელოვანილია გლობალური სტატუსის გათვალისწინებით.

3. მენკენმა თავის ცნობილ სამტომიან ნაშრომში „ამერიკული ენა“, რომელიც პირველად გამოქვეყნდა 1919 წელს, განსაზღვრა ამერიკული ინგლისური ენის მზრდადი მნიშვნელობა მთელ მსოფლიოში და მიუთითა აღნიშნული ზრდის მნიშვნელობა:

„იმის გათვალისწინებით, რომ ინგლისური ენის ამერიკული ფორმა ამჟამად გამოიყენება სამჯერ მეტი ადამიანის მიერ, ვიდრე ყველა სხვა ბრიტანული ფორმა, და სულ ცოტა ოცჯერ მეტი ვიდრე სამხრეთი ინგლისური ენის სტანდარტული ფორმა, და მისი მოქნილობის და გრამატიკული და ლექსიკური ფორმების მრავალფეროვნების და ლინგვისტიკური მოთხოვნების მიმართ შეწყობის ფართო ტენდენციის გათვალისწინებით, ვთვლი, რომ ის განსაზღვრავს ენის საბოლოო ფორმას“ (1998 (1919), გვ. 326).

აღნიშნულთან დაკავშირებით, 3. მენკენი მიუთითებს ამერიკული ინგლისური ენის „მეგობრულ ხასიათს“, რომელიც ჩამოყალიბდა 1607 წელს ამერიკაში პირველი მუდმივი ინგლისურენოვანი კოლონიის შექმისთანავე და ამ პერიოდიდან დაიწყო ადგილობრივი ენებიდან სიტყვების ადაპტირება. ეს არის პერიოდი, რომელიც შეიძლება იყოს დახასიათებული, როგორც ინგლისური ენის გლობალიზაციისაკენ ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი. ატლანტიკური ოკეანით ერთმანეთისგან იზოლირებული დიაქლექტები ინგლისში და ახალ კოლონიებში ვითარდებოდა დამოუკიდებლად. თუმცა, ლინგვისტური თავისებურებანი და ტენდენციები ამერიკული ინგლისურისა, შეიძლება იქნას გაგებული ამერიკული ერის ისტორიული განვითარების მიმოხილვით.

მენკენი აჯამებს ამერიკული ინგლისურის მთავარ მახასიათებლებს შემდეგნაირად:

1. ზოგადი ერთფეროვნება ქვეყნის ფარგლებში
2. გრამატიკული, ფონოლოგიური და სინტაქსური წესის მოუთმენელი უგულვებელყოფა
3. ფართო შესაძლებლობა (მკვეთრად მეტი ვიდრე ჩვენს დღეებში არსებული ინგლისური) ახალი სიტყვების და ფრაზების შემოღებისა გარე რესურსებიდან და მათი წარმოება მათივე მასალიდან: “ მიეცით ამერიკას ნება



დაუპირისპირდეს ნოველის პრობლემას გარე ინგლისურით და მაშინვე მისი მთავარი წარმოდგენა და რესურსი გახდება ნათელი.” (მენკენი, 1998 (1919), გვ.654)

ბაზილ დე სლინგროტი თავის ცნობილ წიგნში “ჰომონა ან ინგლისურის მომავალი“, 1928წ. მიაწერს ამერიკული ინგლისურის მაღალი ლინგვისტური კრეატიულობის თვისებას აშშ-ს მეტად მასტიმულირებელ ისტორიულ კლიმატს, რომელიც ნაწარმოებია მეტად ენერგიული, მეტად ექსპანსიური და მეტად გადამწყვეტი ხალხისგან, რომელთა ტენდენციაა მისწრაფება ჩვეულებრივი ობლიგაციების, შეზღუდვების წინააღმდეგ და მსოფლიოს მკვეთრ კონტურებში აღქმა, შთაგონება უფრო მეტად მშვიდი მისი რენდერინგისა. ეს თავისებური მრავალეროვნული და მრავალლინგვისტური ნარევი ამერიკული ცივილიზაციის აღმოცენებისას, “ლინგვისტური ნდობადი ქოთანნი”, ხასიათდება მდიდარი და სხვადასხვა კომუნიკაციური კონტექსტით, რომელმაც მიიყვანა ახალი ცნებებისა და გაგებების გახსნილობამდე, ამერიკული ინგლისურის ფორმების გრამატიკული და ლექსიკური უფრო მეტად მოქნილობამდე და კრეატიულ შესაძლებლობამდე. პრაგმატული ამერიკელები ასევე ხშირად ეძებენ ენის გამარტივების გზას, ტენდენცია, რომელსაც მენკენი ამტკიცებს, რომ “ამერიკული სპელინგი უკეთესია, ვიდრე ინგლისური და შემდგომში მას ჩანს რომ უპირატესობა ექნება“.(1998 (1919), გვ.483).

ამჟამად ამერიკული ორთოგრაფია მოიცავს სხვადასხვა გამარტივებებს, რომელთაც უპირატესობა ენიჭებათ ბრიტანულ ინგლისურ ენასთან შედარებით.

1940-50 წლები ხასიათდებიან ამერიკული ინგლისური ენის გავრცელებით მთელს მსოფლიოში, ზრდად პოლიტიკურ, ეკონომიკურ, და კულტურულ მნიშვნელობასთან.

ფილიპინების 8 წლიანი ოკუპაციის შემდეგამერიკულ დიალექტზე ლაპარაკობდა 800,000 ადამიანი, ანუ მოსახლეობის 10 % , ხოლო დიდი ბრიტანეთის მიერ ინდოეთის 150 წლიანი ოკუპაციის შემდეგ 3,000,000, ანუ მოსახლეობის 1 % ლაპარაკობდა ინგლისურად.

1945 წლიდან ამერიკული ინგლისური გახდა ინგლისური ენის შემსწავლელთა საყრდენი წერტილი ისეთ ადგილებში, როგორცაა იაპონია, და აგრეთვე რამდენიმე

ევროპულ ქვეყანაში, მაშინ როცა II-ე მსოფლიო ომამდე, ინგლისურის, როგორც უცხო ენის შემსწავლელთა უმეტესობა მოდელად იყენებდა ბრიტანულ ვარიანტს.

ამერიკული ინგლისურის მნიშვნელობამ პიკს მიაღწია 1990-იან წლებში, გლობალიზაციის ზრდასთან ერთად, ციფრულ ერასთან და ინტერნეტ რევოლუციასთან ერთად. მისი ჰეგემონიის ფაქტორები შემდეგია:

1. მოსახლეობის რაოდენობა ( ამერიკული ინგლისური ბრიტანულ ვარიანტთან შედარებით- დაახლოებით 70-17 %).
2. აშშ-ს მდიდარი ეკონომიკა
3. აშშ-ს საერთაშორისო პოლიტიკური უპირატესობა
4. ამერიკაში უმაღლესი განათლების მაღალი დონე და პრესტიჟი
5. გლობალური მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და მმედია ტექნოლოგიები
6. ამერიკული პოპ-კულტურა, ჰოლივუდის ფილმები, მოდა
7. ამერიკულ ინგლისურზე დაფუძნებული გამოცდები და ენის შემსწავლელი ცენტრები
8. საერთაშორისო ორგანიზაციები, სადაც ამერიკული ინგლისური არის სამუშაო ენა-გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, იუნესკო, ამერიკული მშვიდობის კორპუსი და სხვა.


გლობალური გავრცელების პრობლემა და ამერიკული ინგლისურის ევოლუცია აუცილებელს ხდის შეიქმნას რიგი თეორიები, ცნებები და ტერმინები, რომლებიც შემდგომში შესწავლილი და განხილული იქნება წინამდებარე ნაშრომში.

შესასწავლო ფენომენზე დაყრდნობით ლიტერატურული წყაროების ზედაპირული მიმოხილვაც კი გვიჩვენებს გარკვეულ მნიშვნელოვან ტერმინებზე შეზღუდულ შეთანხმებას მსოფლიოს წამყვან ლინგვისტებს და ლინგვისტურ სკოლებს შორის. შესაბამისად, საჭიროა მათი ნათელყოფა შემდგომი შეთანხმებული გამოყენებისთვის ამ თეზისის ფარგლებში.

ძირითადი საწყისი წერტილი ჩვენს კვლევაში წარმოდგენილია ბრაჯ კაჩრუს მიერ 1985 წელს შემოთავაზებული მსოფლიოს ინგლისურო ენის მოდელით, რომლებიც მოიპოვა მოწონებული საყრდენი მოდელის სტატუსი. იგი ასახავს ინგლისური ენის

გამოყენების ვარიანტებს და მომხმარებლებს მსოფლიოს მაშტაბით სამი ზრდადი წრის მიხედვით: შიდა, გარეთა და მზარდი.

### სურათი 1. კაჩრუვის მსოფლიო ინგლისური ენის მოდელი



შიდა წრის ქვეყნები განიხილებიან , როგორც სტანდარტული ინგლისური ენის ქვეყნები-გაერთიანებული სამეფო, აშშ, კანადა, ავსტრალია, ახალი ზელანდია, მოლაპარაკებათა რიცხვი შეადგენს დაახლოებით 375 მილიონ ადამიანს. ასეთ ქვეყნებს უწოდებენ ძველი ნაირსახეობებს ინგლისურ ენაზე მოლაპარაკე ქვეყნებს, სადაც ინგლისური არის პირველი და მთავარი ენა, რომელიც ფართოდ გამოიყენება მთვრობაში, მედიაში, განათლებაში და ლიტერატურულ შემოქმედებაში. ამერიკული ინგლისური არის შიდა წრის ერთერთი ნაირსახეობა.

გარეთა წრის ქვეყნები ( 500 მილიონამდე მოლაპარაკე) მოდელის მიხედვით, სტანდარტული-განვითარებადია.

ამ წრეს მიეკუთვნება ისეთი ქვეყნები, როგორც ინდოეთი, იაპონია, ფილიპინები, სადაც ინგლისურ ენას აქვს დიდი ხნის ისტორია, როგორც ენას , რომელსაც უკავია ფართო და მნიშვნელოვანო როლი მთავრობაში, განათლებაში, ლიტერატურაში, მასობრივ კულტურაში, ხშირად როგორც კოლონიალური მემკვიდრეობა, არსებულ მთავარ ეროვნულ ენასთან/ენებთან ერთად.

მზარდი წრე (500-1000 მილიონამდე მოლაპარაკე) მოიცავს ქვეყნებს, სადაც ინგლისური თამაშობს სხვადასხვა როლებს და ფართოდ ისწავლება სამეცნიერო და ტექნიკური მიზნებისათვის. ამ ქვეყნებს მიეკუთვნებიან ჩინეთი, ინდონეზია, კორეა, ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკები, და მათ შორის - საქართველოც. ინგლისური ენის მომხმარებლების მთლიანი რიცხვის შესახებ სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, იგი არის მოდელის ყველაზე უფრო სწრაფად ზრდადი და ამავდროულად, ყველაზე უფრო გავლენის მქონე სეგმენტი.

კაჩრუ (1986) ამაზე აკეთებს შემდეგ კომენტარს: ინგლისური ენის გლობარულმა გავრცელებამ საინტერესო მიმართულება მიიღო: ინგლისურზე, როგორც მშობლიურ ენაზე მოლაპარაკებმა, როგორც ჩანს, დაკარგეს ექსკლუზიური პრეროგატივა მის სტანდარტიზაციასთან დაკავშირებით, სინამდვილეში კი, თუ დღევანდელი სტატისტიკა არის რაიმე მინიმუმი, ისინი მცირე გახდა. ეს სოციოლინგვისტური ფაქტი მიღებულ და აღიარებულ უნდა იქნეს. მოდელმა, მისი დანერგვის მომენტიდანვე, გამოიწვია კამათი მსოფლიოს ენათმეცნიერებს შორის. დებატების ცენტრალურ ნაწილს წარმოადგენს მოდელის სეგმენტებში ნორმის/სტანდარტის ცნება და გავრცელება. კაჩრუს მოდელის რევოლუციურ მომენტს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მან ინგლისური ენის მრავალრიცხოვანადგილობრივ სახეობას მისცა არსებობის უფლება, უწოდა რა სახელი თავად მოდელს და შეცვალა დიდი ხნის მანძილზე არსებული ცნება ინგლისური ენის ერთგვაროვანი ბუნების შესახებ. კაჩრუს სჯეროდა, რომ ნორმების, სიმრავლისა და მრავალფეროვნების აღიარება არ გამოიწვევდა ინგლისური ენის სხვადასხვა მომხმარებელს შორის გარჩევადობის ნაკლებობას.

მისი მთავარი ოპონენტი, რ. კუირკი, ამტკიცებდა, რომ წერილობითი და სალაფარაკო ინგლისური ენის საერთო სტანდარტის გამოყენება მაინც აუცილებელი იყო ინგლისური ენის სხვადასხვა კონტექსტში გამოყენების დასარეგულირებლად. იგი აცხადებდა, რომ ინგლისური ენა გაუგებარ ვარიანტებად, რაც გამოიწვევდა ენის საერთაშორისო კომუნიკაციის ფუნქციის შესუსტებას. (კუირკი, 1985). ეს კონცეპტუალური უფსკრული რჩებოდა წლების განმავლობაში დღევანდელ დღემდე, სიტუაცია უფრო გაუარესდა გლობალიზაციის არსებობის პირობებში. მსოფლიოში

ინგლისური ენების რაოდენობა იზრდება, შედეგად ის ემატება გლობალურად გაფართოებადი ინგლისური ენის ფენომენის არაინტეგრირებულ და მოზაიკურ სურათს. დ. კრისტალიწავიდა უფრო შორს და აღწერა არსებული სურათი როგორც ინგლისური ენის შესაძლო ბილინგუალიზმი: „ჩვენ ყველას, შესაძლოა, თავის დროზე დაგვჭირდეს ორი სტანდარტული ინგლისური ენის ფლობა: ერთის, რომელიც გვაძლევს ჩვენს ეროვნულ და ლოკალურ პიროვნულობას, და მეორის, რომელიც გვაკავშირებს დანარჩენ კაცობრიობასთან. შედეგად, შეიძლება ჩვენ ყველა მოგვიწიოს გავხვდეთ ორენოვანი ჩვენივე საკუთარ ენაში“. (დ. კრისტალი, 1988, გვ.265)


სიტუაცია კიდევ უფრო საკამათო გახდა გლობალიზაციის სწრაფ განვითარებასთან ერთად, ინგლისური ენის უპრეცედენტო გაფართოებისა და ამერიკული ინგლისურის წონის გაზრდის პარალელურად. ეს ახალი გლობალური ლინგვისტურ რეალობა მნიშვნელოვნად ცვლის ტრადიციულად მიჩნეულ ძალთა ბალანსს კაჩრუს მოდელის სეგმენტებს შორის, ისევე როგორც კორელაციის სიდიდესა და თავისებურებებს და მათ შორის ურთიერთდამოკიდებულებას. კიდევ ერთი პრობლემა, რაც არსებობს ამ მოდელში, გლობალიზაციის პარადიგმასთან დაკავშირებით, მიეკუთვნება ლინგვისტური სტანდარტის ცნებას. რა უნდა ჩაითვალოს ლინგვისტურ სტანდარტად იმისათვის, რომ ის მსოფლიოს მასშტაბით ისწავლებოდეს? არსებულთაგან, რომელმა უნდა დაიკავოს შესაძლო გლობალური სტანდარტისაკენ მიმავალი ლიდერის პოზიცია? თუ მხედველობაში მივიღებთ ინგლისური ენის ახალ, მზარდ როლს ყოფილი საბჭოთა ბლოკის ქვეყნებსა და ე. წ. მესამე სამყაროში, სადაც ეს ახალი მნიშვნელობა არსებული ცნებების მზარდმა გაფართოებამ ისინი დასავლური (და, ძირითადად, ამერიკული) ეკონომიკის, კულტურისა და იდეოლოგიის კუთვნილებად აქცია, შეიძლება ითქვას, რომ გაფართოებადი წრის ქვეყნები წარმოადგენენ მოდელის ყველაზე მეტად დასახლებულ სეგმენტს და შედეგად, კვლევისათვის ყველაზე ნაყოფიერ მოვლენათა ერთობლიობას. ზოგადად, ინგლისური ენა და განსაკუთრებით ამერიკული ინგლისური, თავიანთი გავრცელებისა და მიღების პირველ პირველ საფეხურზე იმყოფება ამ ქვეყნებში, ხოლო ამ პროცესის განვითარება პირდაპირ არის დამოკიდებული გლობალიზაციის წინსვლაზე. ამასთან დაკავშირებით,

შესაძლებელია ძირითადი თემების შესახებ გარკვეული დასკვნების გამოტანა მათზე დაკვირვების შედეგად, თემებისა, რომლებზეც ძირითად ყურადღებას გავამახვილებთ:

1. ჩვენ ვახორციელებთ კვლევას, ამერიკული ინგლისურის სწავლების ვარიანტის ფარგლებში და მიგვაჩნია, რომ მისი განვითარება გაგრძელდება მომავალშიც, რაც დამოკიდებულია აშშ-ს დომინანტურ როლზე მსოფლიოში, მიმდინარე გლობალიზაციასა და იმაზე, რომ აშშ ზოგადად ასოცირდება მრავალ შესაძლებლობის მქონე ქვეყანასთან, რაც მნიშვნელოვნად მატებს ამერიკული ინგლისურის მსოფლიოში მნიშვნელობის, პოპულარობასა და პრესტიჟს.
2. ჩვენ ავირჩიეთ კაჩრუვის მოდელი, ამერიკული ინგლისურის გლობალური გაფართოების პროცესის შეფასების შესაწავლად.
3. ამერიკული ინგლისური ენის გლობალური სტატუსისა და ფუნქციის კვლევაში , ჩვენ პირველად მნიშვნელობას ვანიჭებთ კაჩრუვის მოდელის მზარდ სეგმენტის გაფართოებას.
4. ჩვენ ვფიქრობთ, რომ გარკვეული სახეობის სტანდარტიზაციის ჩატარებაა საჭირო და უფრო მეტიც, გარდაუვალია . ვიდოუსონი (1997) აღნიშნავს, რომ ინგლისური ენის მომხმარებლების უმრავლესობა ყურადღებას ამახვილებენ, კერძოდ, სტანდარტზე და ტენდენციაზე, რათა უზრუნველყონ გარკვეული გამაერთიანებელი ფორმები. ამასთან დაკავშირებით ჩვენ ვფიქრობთ, რომ ნათლად ჩანს ტენდენციის კვალი სამომავლოდ ინგლისური ენის გლობალური სტანდარტის .

ჩვენ ვთვლით, რომ ამ პრობლემის შესწავლას მოჰყვება მეტად მნიშვნელოვანი შედეგი ინგლისური ენის სწავლებისთვის და სასწავლო გეგმისთვის საქართველოში. თუმცა ამჟამინდელი კვლევა ეკუთვნის მცირე კვლევის კატეგორიას, მისი მიზანია უზრუნველყოს ფასეული ინფორმაცია ტიპოლოგიაზე და საშუალებას აძლევს განახორციელოს შედარებითი ანალიზი რამდენიმე მსგავსი კვლევებთან სხვა ქვეყნებში. ეს თავის მხრივ, საშუალებას გვაძლევს ვისაუბროთ აზრთა ჰომოგენურობის არ/არსებობაზე .

გლობალური ფაქტორების გავლენა ამერიკული ინგლისურზე ბრიტანული ინგლისურის წინააღმდეგ გლობალურად იქნა განხილული ჩვენს მიერ წინამდებარე ნაშრომის 2-ე თავში. ქვემოთ მოცემული **სურათი 2** ასახავს ამერიკული ინგლისურის ვალენტურობას მსოფლიო ინგლისურის ფარგლებში .




სტანდარტიზაციის შესაძლებლობის გათვალისწინებით, ჩვენ სასწრაფოდ გვჭირდება პროცესის დინამიკის იდენტიფიცირება და მოდელების შექმნა, რაც საშუალებას მოგვცემს, რათა შევიმუშავოთ სხვადასხვა სახის სიტუაციაში ჩარევის ეფექტური შესაძლებლობები. აუცილებელია, შეიმუშავდეს ლინგვისტური და სოციოლინგვისტური მოდელები, რომელიც ახსნის ამერიკული ინგლისურის გლობალური ევოლუციის დინამიკას.

მონაცემები მიუთითებს იმაზე, რომ ჯგუფებში A და B (რესპონდენტების ყველაზე ახალგაზრდა ჯგუფი) უპირატესობა ენიჭება ამერიკულ ინგლისურს, ხოლო ჯგუფში C ჭარბობს ბრიტანული ინგლისურისადმი ტრადიციული დამოკიდებულება. სხვა სახესხვაობები (კანადური, ავსტრალიური და ახალ ზელანდიური ინგლისური) აღინიშნა, როგორც სტანდარტის სტატუსის ყველაზე ნაკლებ სასურველი კანდიდატები. არა-მშობლიურ აქცენტები (ინდური, ფილიპინების, იაპონური, თურქული), რომლებიც მიეკუთვნება გარე და გავრცობილ წრეებს, შეფასდა, როგორც არა-სასურველი და შევიდა კატეგორიაში „დაწუნება“.

ეს დასკვნები ემთხვევა დალონ-ბუფერის და სხვ. (1997) მიერ აღმოჩენილ შედეგებს ავსტრიელი ჯგუფის ინგლისელი სტუდენტების შესახებ, ტიმის (2002) გაფართოებული წრის 14 სხვადასხვა ქვეყნის 400 ინგლისური ენის სტუდენტის კვლევას, და შვეიცარიელი ინგლისური ენის მასწავლებლების მურეის მიერ ჩატარებულ კვლევას.

**სქემა 1. მონაწილეთა არჩევანი სახესხვაობებზე, როგორც სწავლის ყველაზე სასურველ სტანდარტზე**



ჯგუფი    ჯგუფი    ჯგუფი    ჯგუფი  
**A            B            C            D**



ბრიტანული				
ინგლისური	30%	32%	51%	52%
ამერიკული				
ინგლისური	59%	61%	40%	43%
კანადური				
ინგლისური	3%	2%	2%	2%
ავსტრალიური				
ინგლისური	5%	3%	5%	1%
ახალ ზელანდიური				
ინგლისური	3%	2%	2%	2%
ფილიპინების				
ინგლისური	0%	0%	0%	0%
იაპონური				
ინგლისური	0%	0%	0%	0%
ინდური				
ინგლისური	0%	0%	0%	0%
თურქული				
ინგლისური	0%	0%	0%	0%

მონაცემთა ანალიზი მიუთითებს მეტ უპირატესობის ამერიკული ინგლისურის მიმართ მცირე 6%-იანი ზღვარით მის ბრიტანულ მეტოქესთან შედარებით: შესაბამისად მონაწილეთა საერთო რაოდენობის 45% 41%-ის წინააღმდეგ.

ქართველ რესპონდენტთაგან და გავრცობილი წრის სხვა ქვეყნებში ჩატარებული მთელი რიგი ბოლოდროინდელი კვლევებიდან მიღებული შედეგების შედარებითი ანალიზი მიუთითებს იმაზე, რომ არსებობს დამოკიდებულებების საერთო ერთგვაროვნება გლობალიზაციასა და სეგმენტის შიგნით შესაბამის ენობრივი მოვლენებთან მიმართებაში. გლობალიზაცია დადებითად განიხილება და ამერიკული ინგლისური ენა ითვლება გამოსაყენებლად სასურველ სახესხვაობად. ეს არის მოდელის მზარდი სეგმენტის უპრეცედენტო მნიშვნელობის მანიფესტაცია. კვლევა მიუთითებს, რომ ინგლისური ენის სწავლების ტრადიციული მეთოდი გრამატიკული სტრუქტურით დღემდე პრივილეგირებულია, რასაც მივყავართ დასკვნამდე, რომ სტუდენტი პირველ რიგში დაინტერესებულია არა მხოლოდ ისწავლოს არამედ გამოიყენოს ენა პრაქტიკაში (და ეს მართლაც ასეა სტუდენტების უმრავლესობისთვის მსოფლიოში), ასეთი მეთოდი კი განსაკუთრებით სასარგებლოა. აქედან გამომდინარე, მისი ცოდნა, ფაქტობრივად, ენის გამოყენების შემთხვევაში შეიძლება წარუმატებელი იყოს. კვლევის შედეგების შესაჯამებლად ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია გავიხსენოთ ბ. სეიდლჰოფერი: „ფუნდამენტურ საკითხებს საერთო აქვთ გლობალურ გავრცელებასა და ინგლისური ენის გამოყენებასთან. მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო გრძელვადიან კვლევის გამოყენებით ლინგვისტიკას, და მაინც, მილიონობით ინგლისური ენის მასწავლებელი ყოველდღიურ პრაქტიკაში, როგორც ჩანს, ხელშეუხებლად ვითარდება. ამ ვითარებას მოჰყვა ღრმა ინგლისური ენის სწავლების კონცეფცია“. (სეიდლჰოფერი, 2004, გვ. 133 – 134). ინგლისური ენის სწავლების კულტურის მთელი გზა საქართველოში, ისევე როგორც ამერიკული ინგლისური ენის სასწავლო გეგმის დანერგვა, ახალ პერსპექტივებს გვთავაზობს აღნიშნულ თემაზე, რაც საბოლოოდ გაუმჯობესებს და ფართო სპექტრით განავრცობს კომუნიკაციის უნარს და ენის შეთვისებას.

დისერტაციის თემაზე გამოქვეყნებული ნაშრომთა სია:

1. Glonti D. (2010). Georgia and the Globalizing English-Some Peculiarities of Mapping Georgia within the Kachruvian Model of the World Englishes. *IBSU Scientific Journal 2(1)*
2. Glonti D. (2010). Towards a Global Standard of English-Evaluating the Increasing Role of American English in the Global Context. *Georgian Foundation for Development of Sciences and Society, International Scientific Journal, 1(36), 128-129*
3. Glonti D. (2010). The Learnability Formula of American English as One of the Reasons of its Expansion within the Kachruvian Model. *Georgian Foundation for Development of Sciences and Society, International Scientific Journal, 1(36), 130*